ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4551992

ნომერი: AR1687993

თარიღი : 14.06.2019

გაცემის თარიღი : 19.06.2019

გაცნობის თარიღი : 19.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბიძინა კვერნაძე , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კვინიკაძე პ/ნ 18001006714
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 8, ბინა 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქუჩა ბიძინა კვერნაძის, N10-ში, შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“-ს

საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის ფანჩატურის მშენებლობის განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციისN 882019310319, 24/04/2019 წელი, საკადასტრო კოდი N 01.10.13.033.100, სიტუაციური გენ- გეგმა , საპროექტო ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, თბილისში, ქუჩა ბიძინა კვერნაძის, N10-ში, I კლასის ფანჩატურის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას მისსავე საკადასტრო საზღვრის არეალში.
-ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;
–მშენებლობის წარმოებისას მაქსიმალურად დაცული და შენარჩუნებული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგაობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.